საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/48 " 22 " მაისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ლ. გელოვანის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, ლევან გელოვანი 2017 წლის 25 მაისიდან გამწესდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით. 2019 წლის 15 ივლისიდან იგი დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2017 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 25 იანვრამდე პერიოდში ლევან გელოვანის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (ი. ბონდარენკო; ს. მეთოფიშვილი; ი. შენგელია) და სამი არამოსამართლე (ზ. ხარებავა; შ. ქადაგიძე; ლ. გზირიშვილი) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ლევან გელოვანის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 535 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 89,17%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; ნ. მარსაგიშვილი; გ. მიქაუტაძე; ვ. მშვენიერაძე; რ. ნადარაია; თ. ონიანი; შ. ქადაგიძე; ი. შენგელია; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ნ. ჯანეზაშვილი; ა. დოლიძე) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ლევან გელოვანი 2020 წლის 25 მაისიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი